სამშობლო

სამშაბათი 21 ივლისი 1915 წ.

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 ან. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიბადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებანი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 134 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 134

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

22 ივნისს, დ. ცაგერის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ნახევარი წლის გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფო სათათბიროს წევრის—განსვენებულის

ვარლამ (კუჭიკო) ლევანის ძის გელოვანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს საზოგადოებას განსვენებულის ბიცოლა კნ. ტიბი გელოვანისა. 1—1—532

მლვდელი ისააკ, მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული შვილები ვალერიან, თამარ, ელენე და ნადეჟდა ახვლედიანები, გულითად მადლობას უძღვნიან ნათესავთ, ამხანაგთ, ნაცნობთ და ყველა იმ პირს, რომელთაც პირადის დასწრებით, დეპეშით თუ წერილობით ნუგეში სცეს ძვირფასი შვილის და ძმის მოსკოვის პეტროვო—როზუგოვსკის აკადემიის სტუდენტის

ვასიკოს გარდაცვალების გამო.

1—1

ქალების კერძო გიმნაზია ძ. ი. ეაუხჩიშვილისა ამით აცხადებს, რომ მისადები და ხელახალი გამოცდები ყველა კლასებში დაიწყება 17 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1-ს სექტემბერს.

3—2—521.

ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საგანგებო **საზოგადო კრება** დანიშნულია კვირას, 2 აგვისტოს, დილის 11 საათზე საკუთარ შენობაში—საგანი კრებისა: არჩევა გამგეობის ერთი წევრისა განსვენებული მიხეილ ივანეს ძის ქუთათელაძის მაგიერ.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი
ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნტრუს კლასებისათვის, უმაღლეს დასწყებისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, ბარიკადნერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ხაზაფხულო შენობაში.
ორშაბათიდან, 20 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

I. **ცოდვის აჩრდილი.** სამ ნაწილათ. სამეფო თეატრის არტისტის ვ. ა. კორალლისა და ვ. ა. პოლონსკის მონაწ.

II. **ბელგია** III. **ჰაერში მოგზაურობა.** მხიარული სურათი.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის
ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დიდის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი **მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშბიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი **რელიგიოზნი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.
ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი. თ.

მასაჟით სამ კურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი **მიხეილ კაშია**
კურნავს ოფეოლგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას ლებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

თბილისი. 18 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვისპირის რაიონში სროლაა. ოლთისის მიმართულებით სროლაა არკინსთან. დანარჩენ ადგილას ბრძოლა არ ყოფილა.

თბილისი 19 ივლ. ზღვის პირის რაიონში სროლაა, დანარჩენ ადგილებში ბრძოლა არ ყოფილა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 18 ივლ. ოფიც. მთავარსარდლის შტაბისაგან. დვინასა და ნემანს შუა 17 ივლ. ღამით და შემდეგი დღის დილით გერმანელებს უშედეგოთ იერიშები მოქონდათ ბაუსკზე. სამხრეთით, კონსტანტინოვო, კრინჩინსუბოჩ ტრაშვუნის ფრონტზე ჩვენ შევავიწროვეთ მტრის მოწინავე რაზმები კოვნოს დასავლეთით, 16 ივლ. საღამოთი ჩვენ გამოვრეკეთ მტერი რამდენიმე პოზიციიდან, რომელიც მან დილით დაიკავა. ნარევზე 17 ივლ. მტერი მცირე რაზმებით სცდილობდა მდინარის მარცხენა ნაპირზე გადასვლას-შკვის შესართავთან, როჟანის ალმოსავლეთით კი კერძო ხასიათის იერიშები მოქონდა სელენციაჟაბინ-რემბიშეს რაიონში ჩვენ შევინარჩუნეთ წინანდელი ფრონტი, ვისლის მარცხენა ნაპირზე 17 ივლ. ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიშები ბლონეს ჩრდილო-დასავლეთით. მაგნუციევ-კაზენიცეს ფრონტზე ვისლაზე გადასული მტრის ჯარი ჩვენ შევავიწროეთ. რადომირკის შესართავის ქვემოთ მტერი გამოვრეკეთ მარჯვენა ნაპირის ტყიდან და ვისლან კუნძულებისკენ უკან დავახვევინეთ. ვისლის ზემო ნაწილით მტერი გამაგრებულია პოსადა მანციევიცეს რაიონში. ვისლასა და ბუგს შუა 17 ივლ. ღამით ჩვენ ჯარს ებრძანა ახალ პოზიციებზე გადასვლა, მტერს ხელი არ შეუშლია. ჩვენი ჯარი აქ იშლებოდა 17 ივლ. ჩვენ დავსტოვეთ ქალ. ლიუბლინი და რკინის გზის ნაწილი სად. ნოვაია ალექსანდრიასა და რევეცის შუა. ბუგზე ჩვენი ჯარი მტერს სდევნის ზოგიერთ ადგილებიდან სოკალის სამხრეთით. ტყვეთა სიტყვით მტერი აქ დიდათ დაზარალდა. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

რუსეთი.

პეტროგრადი. 18 ივლ. ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი. 19 ივლისს 1915 წელს: „ერთი წლის წინათ გერმანიამ და ავსტრო-უნგრეთმა და შემდეგ ოსმალებმაც ომი გამოაცხადეს. სწორეთ ერთი წელიწადია, რაც თქვენ მოწოდებული ხართ რუსეთის სახელის და მშვიდობიან მცხოვრებლების ინტერესის დასაცავათ. ამ ერთი წლის განმავლობაში თქვენ გამოიჩინეთ ძველთაგან ცნობილი სიმამაცე და ვაშკაცობა, ახალი დიდებით უკედავჰყავით დროშა და მრავალმა ათასმა სამშობლოს საუკეთესო შვილთაგანმა დაამტკიცა თავისი ერთგულება რუსეთისადმი. ათეული წლობით მომზადებული შამოჭრა ჩვენს სამშობლოში, მტრის მრავალი ჯარის ცდა შეიმუსრა რუსის ჯარის სიმაერეზე, თქვენი სამშობლო სიამაყით და სიხარულით გიცქერის და ღრმა მადლობით გიხსენებენ თქვენ ჩვენი მოკავშირენი. მიუხედავათ თქვენი სიმამაცისა მტერი ჯერ შემუსვრილი არ არის და ჯერ კიდევ დიდი ძალა და თავგამოდებაა საჭირო, რომ რუსეთი დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებას. ნუ დაეცემით სულით ახალი მსხვერპლის მოლოდინში. უფალ ღმერთს არა ერთხელ განუზრახავს ჩვენი სამშობლო გამოეცადა და მუდამ ახალის ძალით გამოვიდა ის ამ განსაცდელისაგან. ყველას შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა და ყველა ერთი აზრით არის გამსქვალული, რომ თქვენ დაგეხმარონ თქვენი მიზნის განხორციელებაში და შეგიმსუბუქონ მტერთან ბრძოლის საქმე, ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ბრძოლა კეთილათ დაბოლოვდება, ჩემთან ერთად თქვენსკენ თვალი მოუპყრია მრავალ მძიმე, ძაგრამ სახელოვან საქმეს“. ნამდვილზე მ. ი. უ. ხელით აწერია: **ნიკოლოზი.** ცარსკოე სელო.

— 18 ივლისი. სწავლის დროის მოახლოვების გამო, განათლების სამინისტრო ამ დღეებში წინადადებას მისცემს ოლქის მზრუნველებს, ახლავე გამოარკვიონ საკითხი სწავლის დაწყების შესახებ ოლქის საშვალო სასწავლებლებში. დასაბუთებული მოსაზრება ამის შესახებ ოლქის მზრუნველებმა უნდა წარუდგინონ სამინისტროს.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბიდან.

პეტროგრადი. 19 ივლისი. მდინარე კურლიანსკაია-ბაბსკას ქვემოთ 17—18 ივლისს ჩვენ სასტიკი ბრძოლა გვქონდა. ხანგძლივი ცდისა და შეუპოვრობის შემდეგ მტერმა შეიძლო მდინარე მიზაიუნ-გფერნეოფის მარჯვენა ნაპირზე გამაგრება.

ნევეჟის გზაზე სოფ. დარშიშკთან ჩვენმა ჯარმა მტრის იერიში უკუაგდო. სს. მატიანი და ტალტაგოლის მიდამოში გერმანელების ავანგარდი გავრეკეთ და რამოდენიმე ასი გერმანელი ტყვეთ წაიმოყიყვანეთ. მტრის თხრილები, რომელიც ჩვენ ხელთ ვიგდეთ, სავსე იყო მათი მკვდრებით.

როჟანსკის უბანში მდ. ნარევის გასწვრივ სასტიკი ბრძოლა იყო 18 ივლისს. აქ მტერმა ურიცხვი ყუმბარებით და სულის შემხუთველ გაზებით კამენკა ქალაქის ფრონტზე შესძლო წამოწევა. სამხრეთით მდინარე ოეზე მტერმა ჩვენი თხრილების ხაზი დაიჭირა, მაგრამ ჩვენ იგი ხიშტებით უკუვაგდეთ. 1000 გერმანელი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

მდ. ვეპრჟისა და სადგურ რეპიოვეიცის შუა ჩვენ პოზიციებზე მტერმა სასტიკი იერიში მოიტანა, მაგრამ ვერას გახდა. ქალაქ ხოლმსა და მდ. ბუგის შუა ჩვენი ჯარი იძულებული იყო სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩრდილოეთით დაეხია მდ. ბუგასთან.

ზოლოტაია ლიპასთან და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი. 19 ივლისი მოკავშირეები დიდს შევიწროებას აყენებენ ოსმალებს გალიპოლის ნახევარ კუნძულზე. გერმანელების წყალ ქვეშა ნავი კეფალის წინ გამოჩნდა იმბროსის სრუტის შესავალში, სადაც მოკავშირეების სამხედრო გემები სდგანან, მაგრამ მავთულების გამო ნავთსადგურში ვერ შევიდა. 5 ჯავსნოშანი სმირნას მიადგენ. მოკავშირებს აზრათ ჰქონდათ კუთასდასის აღება.

ის წითელი ჯვრის რაზმი, რომელშიაც მოწყალების ლმერთ იყო გრაფინია ზარნეკაუ და რომლის დაკარგვაზე ხმა გავრცელდა, მშვიდობით დაბრუნდა.

პარიზი. ოფიციალურათ. 18 ივლისი, დიუნკერკში რამოდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს, რომელმაც მცირე ზიანი მოიტანა. არტუაში ანგარიდან არასამდე ჩვეულებრივი საარტელიერო ბრძოლაა.

ვოგეზებში მტერმა ჩვენ პოზიციებს ლაფონტენელის სიმაღლეზე ს. მეტცერალთან ჩვენს პოზიციებს ყუმბარები დაუშინა.

დილით ჩვენმა 7 ჰაეროპლანმა ფრიბურგენ—ბრისგაუს ყუმბარები დაუშინა. უკან დაბრუნების დროს ერთი მათგანი იძულებული იყო ძირს დაშვებულიყო მტრის საზღვრებში მოტორის გაფუჭებისა გამო.

რომი. 18 ივლისი. მტერმა კვლავ გაანახლა თავისი წინანდელი უშედეგო ბრძოლა. რეფუდჟიო-გარიბალთან ჩვენ პოზიციებზე იერიში მოიტანა, რომელიც მოგერეკილი იქნა. პალპიკოლას ოლქში ჩვენმა არტილერიამ ავსტრიელების თხრილების ძლიერი ხაზი დაიჭირა. მტერი დიდათ ვაზარალეთ.

პარიზი. 18 ივლისი. არგონში სერვენ მაგატელის გზაზე ლაი-ონდებინარვილთან გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს, რომლის შემდეგაც გაცხარებული ბრძოლა მოხდა და ჩვენ დავიჭირეთ ნაღმისაგან ამონახეთქი ადგილი. მტრისგან ჩამოგდებულმა ყუმბარებმა მცირე ზიანი მოგვაყენა.

ქურნალ გაზეთებიდან.

პეტროგრადი. გერმანელი გაზეთი იუწყება, რომ ხმელთა შუა ზღვაში ამ ჟამათ ჩაყრილია 12 წყალქვეშა ნავი და ამ მახლობელ მომავალში მათი რიცხვი გამრავლდებაო.

ბულგარეთისა და ოსმალეთის მოგრიგება.

„ტაიმს“-სის კორესპოდენტი სოფიიდან იუწყება, რომ კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც მოხდა ბულგარეთსა და ოსმალეთთა შორის. ბულგარეთმა მიიღო დედეაგაჩის რკინის გზა სადგურებით: კარაგეჩ, დემანტიკა და კიულელი-ბურგასი. ახალი პო-

ლიტიკური საზღვარი ხვდება მდინარე მარიცას. კორესპონდენტის აზრით ეს შეთანხმება არავითარ პოლიტიკურ მოვალეობას არ ავალებს ბულგარეთს, ის წინანდებურათ ნეიტრალური რჩება და თავის საზღვრიდან არ გაუშვებს სამხედრო კონტრაბანდს.

თავისი მხრით „ტაიმს"-სი უმატებს: მიუხედავათ ასეთი რწმენისა, საეჭვოა, რომ ოსმალეთს დაეთმო უკომპენსაციოთ ასეთი მნიშვნელოვანი ადგილები. მხოლოდ, თუ მოკავშირეებიშეპირდენ ხელმეორეთ მაკედონის და გარანტია მისცეს, მაშინ ბულგარეთის პოლიტიკაში სერიოზულ ცვლილება მოხდება.

ადესსა. რუმინიაში დგება მოხალისეთა ბატალიონი დიდი სტეპანეს სახელით საფრანგეთის ფრონტზე წასასვლელათ ნიშიდან იტყობინებიან, რომ თ-დ ტრუბეცკოის დაბრუნება ნიშში მისი მაჩვენებელია, რომ სერბია მზათ არის დაუთმოს ბულგარეთს და ხელ ახლა აღადგინოს მოლაპარაკება. რ. ვ.

რუსეთის ძრწინვა.

უწმ. სინოდის ობერ პროკურორის ადგილზე დანიშნულია ეგერმეისტერი ა. დ. სამარინი გუშინ შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. პირველი სხდომა უწმ. სინოდისა ახალი ობერ-პროკურორის მონაწილეობით დანიშნული იყო 17 ივლისს. ბ. ე.

თავრიდის სასახლეში.

თავრიდის სასახლეში სწარმოებს ფრაქციათა ბჭობა დეპუტატებისა, 13 ივლისს მოხდა კ. დ. ფრაქციის ბჭობა რომელშიაც მსჯელობა ქონდათ მრავალ კითხვაზე და პროგრამაზე და ფრაქციის დეკლარალაციულ გამოსვლის შესახებ სათათბიროს პირველ სხდომაზე. პროგრესისტები განაგრძობენ ენერგიულ მუშაობას ჯარის სურსათის მოწყობის საკითხში. „ნ. გ".

ოკტომბრისტებმა 16 ივლისს მსჯელობა იქონიეს მომავალ სესიის პროგრამაზე.

ბიუჯეტის კომისიის თავმჯდომარემ მ. მ. ალექსეენკომ დიდი წინააღმდეგობა გამოაცხადა სახელმწიფო ბანკის ემისიურ უფლების გაფართოებაზე.

გერმანული გაზეთები შეერთებულ შტატების ნოტის შესახებ.

„ბერლინ. ტაგებლატ"-ი აცხადებს, რომ პრეზიდენტი ვილსონი ვერ გაექცა ინგლისის გავლენას. გაზეთის აზრით შეერთებული შტატების მოთხოვნილება სრულად შეუფერებელია. წყალქვეშა ბრძოლა წინანდებურათ სასტიკი ხასიათის უნდა დარჩეს და ამისათვის მოთხოვნილება შეერთებულ შტატებისა ყოვლათ შეუძლებელია, რომ დავაკმაყოფილოთო.

კონსერვატიული გაზეთები „პოსტ"-ი ამის შესახებ სწერს: „გერმანიამ უნდა უპასუხოს გადაჭრილი უარით შეერთებულ შტატებს. მოკლე სიტყვით: „არა—ეი რა უნდა იყოს გერმანიის პასუხი, და ეს უარი მთელი ერისგან მხარმიცემული იქნება. „მორგ. პოსტ"-ი. სწერს: გერმანია ვერ მიიღებს შეერთებულ შტატების მოთხოვნილებას, რადგან საზღვარი შესაძლებელი დათმობისა ნაკარნახევია ერის არსებობის უმაღლესი ინტერესებით.

გაზეთი დეიტ. ტაგ.-ცეიტუნგი გამოსთქვამს საზღვაო მინისტრი ტირპიცის აზრს შესახებ ამერიკის ნოტისა:

გერმანიამ უნდა განაგრძნოს დაუღალავი ენერგიით წყალქვეშა ბრძოლა, და არ დაერიდოს არავითარ საშუალებას".

სახელმწიფო სათათბირო.

(დეპ. პეტროგრადის სააგენტოსაგან)

19 ივლისი.

სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყების წინათ თავრადის სასახლის ეკატერინეს სახელობის დარბაზში გადახდილ იქნა სადღესასწაულო პარაკლისი ღვთისადმი და წარმოთქმულ იქნა „მრავალ ჟამიერ" მეფისათვის.

პარაკლისს დაესწრენ პრეზიდიუმი, წევრნი სათათბიროისა და მინისტრები.

სამხედრო მინისტრმა დასამტკიცებლათ სათათბიროში შეიტანა კანონპროეკტი, რომელიც განსაკუთრებით არის შემუშავებული და შეეხება სახელმწიფოს დაცვის შესახებ მიღებულ ზომებს.

პირველი კრება გაიხსნა 1 საათსა და 9 წუთზე. თავჯდომარის ტრიბუნაზე მოსჩანან როძიანკო, ვარუნსეკრეტი და პროტოპოპოვი. მინისტრთა ლოჟაში არიან: მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, ყველა მინისტრი და მათი ამხანაგები. აგრეთვე დაჭერილია სავარძლები სახ. საბჭოს წევრთა, დიპლომატებისა და პრესის წარმომადგენელთა. მაყურებელ საზოგადოებისათვის მიჩენილი ადგილები ჯერ ისევ სახელმწიფო სათათბიროს გახსნამდი გაივსო.

სათათბიროს ფეხზე ადგომით მოისმინა ბრძანება სათათბიროში მუშაობის დაწყების შესახებ. თავჯდომარემ წარმოსთქვა ვაშა ხელმწიფე იმპერატორს. ამ სიტყვებს მოყვა ხანგრძლივი გრგვინვა, ტაშის ცემა და საერო ჰიმნის სიმღერა.

სახელმწიფო სათათბიროს ბ.ბ. წევრნო—განაგრძო თავჯდომარემ. დღეს შესრულდა სრული ერთი წელიწადი, რაც დაიწყო სისხლის ნიაღვრებით აღსავსე ომი და რაც ასტყდა სისხლის დამქცევი ყიჟინა ხალხთა ბრძოლისა, და ჯერ ვერავინაც ვერ იტყვის, როდის დასრულდება ეს ყიჟინა, რომელმაც ამდენი მსხვერპლი შეიწირა და ამდენი მწარე დღე გავითენა. მაგრამ, რაც უფრო დიდია განსაცდელი, მათ უფრო იზრდება ჩვენი გადაწყვეტილება მივსცეთ ამ საქმეს ერთადერთი შესაძლებელი დასასრული—აუცილებელი და უეჭველი გამარჯვება მტერზე. (ყველა სავარძელზე განუწყვეტელი ტაშისცემა). ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა შეერთება ყველა ძალისა და უაღრესი გამოყენება ამ ძალებისა. ამ დიად განცდის დღეებში დიდი ხელმწიფე მიეგება მთელი ქვეყნის მოთხოვნილებას და უნდა რა მოსმენა რუსეთის ხმისა, ბრძანა მოწვევა სახელმწიფო სათათბიროისა იმ შეურყეველი რწმენით, რომ დაუშრეტელნი არიან ძალნი რუსეთისა და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა მოელის რომ მთავრობა, საზოგადო დაწესებულებანი, ვაჭარ-მრეწველნი და ყველა ერთგული შვილი სამშობლოისა, განურჩევლათ მიმართულებისა და მდგომარეობისა, შეჯგუფდებიან ჩვენის ძლევა-მოსილი ჯარის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. და აი, ამ დიადი მიზნის მიღწევისაკენ, როგორც ეს აღნიშნულია თვით უმაღლეს რესკრიპტშიაც, უნდა იყოს მიმართული ყოველივე აზრი და ფიქრი შეერთებულისა და ამ შეერთებით უძლეველის რუსეთისა.

(ხმები: მართალია! ჭეშმარიტებაა. ხანგრძლივი ტაშისცემა).

გვესმის რა ეს დიადი აზრი უმაღლესის მოწოდებისა, სახელმწიფო სათათბიროს განახლებულ მთავრობასთან ერთად იწყებს თავის პასუხსაგებელ მოქმედებას.

სათათბიროს უნდა გამოსთქვას თავისი სამართლიანი ხმა, რომელიც აქვე საჭიროა ჭეშმარიტების გამოსარკვევათ და ყველა ჩვენი კამათიც, მიგვიყვანს სასურველსა და გამოსახსნელ დასკვნამდი. (ხმები: მართალია) და ამ ცხარე კამათის დროსაც, მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ არ დავივიწყებთ, რომ იქ ბრძოლის ველზე ძლიერი მტრის წინააღმდეგ თავისი ცხოველი ხმლით სდგას ღვთის მოსსავი რუსეთის ჯარი ერთსულოვანი ძლიერი ნებითა და სულით, და რომ ჩვენი ეხნეფლოტი ნებას არ მისცემს არავის შეურაცხყოს რუსეთის მიწა წყალი. (ხმები: ვაშა. ხანგრძლივი ტაშის ცემა) დეე იცოდენ ეს ჩვენმა მტრებმა და ტყვილათნუ ინუკვეშებენ თავს დროებითი გამარჯვებით.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს სათათბიროს ფეხზე ადგომით პატივი სცენ სათათბიროს გადაცვლილ წევრთ: კაზინისა, ნაკონეჩნისა და თ—დ გელოვანის ხსოვნას. თ-დ. გელოვანის გადაცვალების გამო თავმჯდომარე მიმართავს სათათბიროს შემდეგი გრძნობიერი სიტყვებით:

თ-დ გელოვანი გმირულათ მოკვდა ტიფით, რომელიც მას შეხვდა დაჭრილ ჯარისკაცთა თავვანწირულ მოვლის დროს. სამამულისშვილო ომის გმირის ნათელი ხსოვნა ღირსეულათ დაფასებული იქნება იმ ღვაწლით, რომელიც მან დასდვა თავისი გმირული სიკვდილით.

შემდეგი იქნება.

რუსული პრესა.

მოსკოვის პრესა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის მნიშვნელობაზე კამათს განაგრძობს. მინისტრთა საბჭოს დასკვნაზე—სათათბიროს ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება მისი მოქმედების ხასიათზეო—„უტრო როსიი" ამბობს:

„არათუ სათათბიროს ხანგრძლივობა, თვით მოქმედების ხასიათი სახელმწიფო სათათბიროსი, რომელიც მოწვეულია ამ მძიმე ისტორიულ მომენტის დროს, დამოკიდებული იქნება იმ განწყობილებისაგან, რომლითაც მთავრობა შეხვდება სახალხო წარმომადგენლობას. ჩვენი პარლამენტი ჯერ ნორჩია, იგი იზრდებოდა და ვითარდებოდა არა სასურველსა და ხელის შემშლელ ატმოსფერაში; მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ იგი არის, არსებობს დღეს, როცა სრულიად რუსეთის საზოგადოებრივ ძალთა მობილიზაცია ხდება, ხალხის წარმომადგენლობა სათავეში უნდა მოექცეს ამ ხაერთო პატრიოტულსა და ადმოთრთოვანებელ მოძრაობას. მთავრობა საერთო გარემოებამ დაარწმუნა, რომ იგი უძლურია უხალხოთ დაიცვას თავისი დირსება და იდგეს სათანადო სიმაღლეზე, ამიტომ ხელი გაუწოდა ხალხის წარმომადგენლებს, დღეს მას სურს ხალხის წარმომადგენლებთან ერთად შეექმნას ისეთი ძლიერი და შემოქმედი ძალა, რომელიც თავდები იქნება რუსეთის გამარჯვებისა ძლიერსა და ტექნიკურათ განვითარებულ მტერზე.

დაუბრუნებლათ წარსულს ჩაბარდა მოგონება იმ წლებისა, როცა მთავრობას სათავეში ედგენ ისეთი მინისტრები, რომელნიც გაიძახოდენ: **„ჩვენ პარლამენტი არა გვაქვსო"**. დღეს სხვა დროა, სხვა მომენტი და სხვა მინისტრებიც სდგანან სათავეში. ვიმედოვნებთ, რომ რუსეთის საკეთილდღეოთ ახალი მინისტრები სხვანაირათ აზროვნებენ და გრძნობენ, ვიდრე მათი წინა მოადგილენი; რომ იგნი პატრიოტული გრძნობებით აღტეინებულნი საგულისხმო 19 ივლისის დღეის ხაზგასმით აღნიშვნენ, რომ **„პარლამენტი გამოჩნდა"**.

ქართული გიმნაზიის გარშემოვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში არის ზოგიერთი დაწესებულება, რომლის შესახებაც რამეს დაწერა და კრიტიკულის თვალით შეხედვა თითქმის შეუძლებელია. ეს ადვილი წარმოსადგენიცაა. ჩვენს ღარიბ კულტურულ დაწესებულებებში ერთი-ორი თუ მოგვეპოვება ისეთი, რომელსაც ფართო მასსის, ხალხის, ყურადღება ქონდეს მიპყრობილი. და სწორეთ ხალხი ამ ორიოდ დაწესებულებას შეხარის, შეტრფის, მათით ამაყობს, თავი მოაქვს და მათგან ელის ჩვენი მოდუნებული ცხოვრების გაუმჯობესებას. სრულის იმედით, რომ ამ დაწესებულებათა სათავეში სანდო და გამოცდილი პირნი (დგანან, ქართველური გულუბრყვილობით და დაუდევრობით, თუ საკუთარი გამოუცდელობით, დარწმუნებულნი არიან, რომ იქ საქმე კარგათ და რიგიანათ მიდის. ჩვენი პრესაც იშვიათათ აწვდენს მათ ამის შესახებ სწორსა და ნამდვილ ცნობებს, რადგან ამ მხრით პრესა განსაკუთრებულ პირობებშია დაყენებული: რაიმე დეფექტის გამომჟღავნებით, ან ნაკლზე მითითებით დაწესებულება საფრთხეში ვარდება მთავრობის კონტროლის მხრივ და შემდეგ თვით საზოგადოებაც გულს აიცრუებდა ასეთ დაწესებულებაზე, რაც სრულიად სასურველი არ არის.

ასეთ კულტურულ დაწესებულებას, სხვათა შორის, ეკუთვნის ქართული გიმნაზია. ეს **არ არის** წოდებრივი დაწესებულება, თუმცა იგი თავად-აზნაურობის ხარჯზე ინახება. თავად-აზნაურობას არასოდეს არ გამოუყენია თავისი უფლება და არ გაუხდია ეს სასწავლებელი ვიწრო წოდებრივ დაწესებულებათ. მისი კარები ღიაა თავადისთვისაც და გლეხისთვისაც. იგი მას საერთო დაწესებულებათ სთვლის და ხალხსაც თავისათ მიაჩნია. და ხალხიც ამაყობს, რომ მას აქვს თავისი საკუთარი გიმნაზია, რადგან მისი აზრით ჩვენს უდაბურ და უფერულ ცხოვრების უდაბნოში ეს ერთი იმ ოაზისთაგანია, სადაც ქართველი თვალს ასვენებს და აქ მას გულს ეოტება. რომ მისი სიმპატია და ნდობა ამ სასწავლებლისადმი დიდია, ამას ცხადათ მოწმობს ამ სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვი. აქ თავი მოუყრია 1300 მოწაფეს, ე. ი. სამი გიმნაზიის კონტინგენტს. 90 აბიტურიენტი (სწავლა დამთავრებული) ე. ი., ერთი უნივერსიტეტის მისაზრდოებელი გიმნაზია, სახუმრო საქმე არ არის. აი, ამის გამო ყველა ჩვენგანი განურჩევლათ წოდებისა და მიმართულებისა ერთნაირი სიყვარულით და თანაგრძნობით უცქერის მას. „ჩვენი გიმნაზიის

რა არის სახალხო მასწავლეგლის მოვალეობა.

(შემდეგი იხ. სამშ. 132-ე №)

ახლა გადვიდეთ საქმის პრაქტიკულად განხორციელებაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს ზევით აღნიშნული დაწესებულებები ჩვენს მივარდნილს სოფელში.

ოთხი წლის წინათ ჩემი მასწავლებლობის პირველს წელიწადს, მე და ჩემს ამხანაგს გვინდოდა საკრედიტო ბანკის დაარსება, მაგრამ, საქმის უცოდინარობის გამო, ვერაფერი მოვახერხეთ და სურვილი სურვილადვე დარჩა. რომ სხვასაც ასე არ დაემართოს, საჭიროდ ვთვლი, დაწვრილებითი ცნობები მოვიყვანო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაარსდეს ესა თუ ის დაწესებულება.

სახალხო მასწავლებელს ყოველთვის უფლება აქვს, მოიწვიოს სკოლის შენობაში მოწაფეთა მშობლები და ისაუბროს მათთან, მაგრამ უკეთესი იქნება, მამასახლისს მოაწვევიოთ საზოგადო ყრილობა და აუხსნათ ხალხს ბანკის დაარსების საჭიროება და სისი მნიშვნელობა. ვიდრე ყრილობა მოხდებოდეს, მიმართეთ „კოოპერაციის" რედაქციას (ქუთაისში), იქ თქვენ მოგცემენ გამზადებულს ფურცლებს, რომლებზედაც ხელს მოაწერენ ყველა ის პირი, რომლებსაც სურსთ დაარსონ ამხანაგობა; მეორე ფურცლებში აღნიშნავთ თითოელი ამხანგის ქონებას, რაზედაც დამოკიდებულია კრედიტის რაოდენობა; შესრულებულს ფურცლებს წარადგენთ წვრილი კრედიტის ინსპექტორთან (инспектору мелкаго кредита), რომელიც იმყოფება სახელმწიფო ხაზინის განყოფილებებში (отдѣленіе Государственнаго банка); ეს უკანასკნელი შეამოწმებს წარდგენილ ფურცლებს და მის დასამტკიცებლად აღძრავს შუამდგომლობას ბ. გუბერნატორის წინაშე; დამტკიცების შემდეგ მოგვათ ცნობა და აირჩევთ ამხანაგთა შორის გამგეობას, რომელიც შესდგება ერთი თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან; აგრეთვე აირჩევთ სამ კაცს სარევიზიო კომისიის წევრებად. მერმე თვით გამგეობა იზრუნებს კრედიტის გახსნა-მომატებაზე. ყველა ამას როცა მორჩებით იმოქმედებთ თანახმად წესდებისა.

თითქმის ასეთივე წესი არის საჭირო საამხანაგო დუქნის დაარსებისათვისაც. მოგროვილ ხალხს აუხსნით კოოპერაციის მნიშვნელობას, აარჩევინებთ ხუთს კაცს რომლებიც უნდა იყვნენ კეთილ-საიმედო მთავრობის თვალში; ამათ ეწოდებათ დამაარსებლები. წინასწარ გექნებათ მოტანილი თხოვნის ფურცლები (бланки), რომელზედაც დამაარსებლები მოაწერენ ხელს, დააკვრენ 3 მან. 75 კს. ღერბის მარკებს და ორ ცალს წარუდგენენ ბ. გუბერნატორს. ბ. გუბერნატორი განიხილავს წესდებას (თხოვნის ფურცლებში გამოყვანილი), მოახდენს გამოძიებას, შეეკითხებიან საზოგადოებას—მართლა უნდათ თუ არა დუქნის დაარსება და, შემდეგ ამისა, დაამტკიცებს. დამტკიცებული ფურცელი ერთი ინახება საგუბერნიო საგუბერნიო სამმართველოში, ერთს უგზავნიან დამაარსებელს.

ამის შემდეგ ამოირჩევთ გამგეობას 3—5 კაცისაგან შემდგარს. გამგეობაში შეგიძლიათ აირჩიოთ დამაარსებლებიც ან სხვებიც, როგორც მოისურვებს ამხანაგთა უმრავლესობა; მერე აბეჭდვიებთ წილის ფურცლებს (პაი), თითოეულ წევრს შესვლისას ახდევინებთ 10 შაურს, რაც იხარჯება კანცელარიის მოწყობისათვის, სწევრო გადასახადი გექნებათ 5—10 მანეთამდე. ფულის შეტანისას თითოეულ წევრს ეძლევა საწილო ფურცელი (პაი) იმდენი, რამდენსაც იყიდის. ერთს წევრს უფლება აქვს იყიდოს 1—5 პაიმდის. ამის შემდეგ გამგეობა ვალდებულია იმოქმედოს თანახმად წესდებისა; იგი მოიტანს იმ საქონელს, რაც საჭიროა იმ ადგილისთვის, სადაც არსებობს სავაჭრო.

თხოვნაში ნაჩვენები უნდა იყოს სამოქმედო ასპარეზი, ე. ი. რომელი რაიონიდან ან სოფლებიდან იქნებიან წევრები. დამტკიცებიდან სავაჭროს გახსნისთვის ერთი წლის ვადა გეძლევათ; თუ არ გახსენით, შემდეგ საჭიროა ახალი ნებართვა. თუ რომელიმე წევრმა ამხანაგობიდან გასვლა მოისურვა—შემოტანილი ფული ეძლევა ანგარიშით. თუ დეფიციტია—ექვითება და თუ მოგებაა ემატება. მოგება იმ წევრს მეტი ერგება, ვინც მეტს საქონელს გაასაღებს, რასაც დაამტკიცებს წარმოდგენილი მარკებით, რომლებსაც აძლევენ საქონლის ყიდვის დროს. გამგეობის ვალდებულება „განმარტებულია წესდებაში.

თხოვნისა და საწილო ფულები, სეკანცელარიო ნივთები, წიგნები და წესდებები, როგორც ბანკის ისე კოოპერატივის, შეგიძლიათ მოიკითხოთ ქუთაისში „კოოპერაციის" რედაქციაში იასონ გაბილაიასთან და ყველა კოოპერატიულსა და წვრილი კრედიტის დაწესებულებებში.

ახლო მომავალში ქუთაისში დაარსდება მომხმარებელთა ბიურო და შემდეგ შეგიძლიათ მიმართოთ მას.

თუ თქვენ დუქნისა და ბანკის საქმეს წესიერად წაიყვანთ, დანარჩენი დაწესებულებების დაარსება გაგიადვილდებათ, რადგანაც გლეხობა, რომელიც უნდობლობით გიყურებდათ, უკვე მიხვდა, რომ მასწავლებელი მისს სასარგებლოდ მუშაობს და უფრო მოგენდობათ. თქვენც ისარგებლებთ შეშთხვევით და ხელი შეუწყვეთ ხალხის წინმსვლელობას, რაც, ჩვენის ღრმა რწმენით, არის სახალხო მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობა.

როგორც დავინახეთ, ხალხი გადმობირებულია. ეს მოვლენა ცოტათი მაინც ფრთას შეაკვეცებს ჩვენს მასიურად ბრალმდებელ ჟურნალისტებს, მაგრამ მათი სავსებით ჩაჩუმება შეუძლებელია, თუ სხვა რაიმე საშუალება არ გამოვნახეთ. აქამდისაც შრომობდენ სახალხო მასწავლებლები: ბევრს ადგილას მათი მოღვაწეობა იმდენათ ფრთა გაშლილია და ისე ნაყოფიერად მიმდინარეობს, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება—უსამართლობა იქნებოდა და შესაფერადაც მოეპყრობოდენ, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს წესიერი თანამშრომლები ჰყოლოდათ. მაგრამ, თუ სადმე პატარა რამე მოხდა, საბრალო კალმოსნები მთელს ქართველ მასწავლებლობას „ბეცი-უეიცი"-ს სახელით ნათლავენ. განსაკუთრებით თავი ისახელა „სახალხო ფურცელმა", „თემმა" და „განათლებამ". ეს ორგანოები იმდენად გათამამდენ, რომ უშიშრად, უბრალოდ, უსაბუთოდ ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ. ისინი უკომენტარიოთ სტამბავენ იმისთანა წერილებს, როგორიც ბ. კრახელისა და არონიშნძის იყვნენ. წარმოიდგინეთ—პასუხის გაცემის საშვალებაც არ მოგვცეს არც ერთმა, გარდა „განათლებისა", სადაც ბ. გ. ანის წერილები დაისტამბენ ტიტოს საპასუხოთ. „სახალხო ფურცელ"-მა არონიშიძის მიმოხილვა სრულიად მოათავსა, მაგრამ მასწავლებელთა პასუხი სარედაქციო გოროდში გაგზავნა. რა არის ეს, თუ არა უკანონობა? დიახ, რომ უსამართლობაა, მაგრამ გამოსავალი გზა ვერ გამოგვინახავს.

მე დამნაშავედ არ ვრაცხ არც ერთს ჩვენს გამოცემას, განსაკუთრებით „თანამედროვე აზრს", რომელმაც ჩემი გაზეთ „შადრევანში" ატეხილი დავის გამო" ვერ გაიგო, რასაც ამ წერილის „სამშობლოში" (იხ. № 56,57.) დაბეჭდის შემდეგ გულწრფელად ფოსტაში აცხადებს. ეს აზრი მისმა წინა მოადგილემაც გვამცნო ერთი თავისი ახლო თანამშრომლის პირით, რომელმაც აშკარად სთქვა, რომ ჩვენს რედაქციას არა ჰყავს მასწავლებელთა კითხვებში დახელოვნებული პირიო. ვერ გაიგო და რა ქნას? როცა გაიგებს მაშ ნ დაბეჭდავს. სხვა ორგანოებსაც თავისი საქმე აქვთ: ჩვენს გასამართლებლად ამოღებული ხმა რომ გამოაქვეყნონ, ხომ ჩვეულებრივი მოქმედება შეიბღალება და ჩვენში, რაც ერთხელ თქმულა, ის შეურყეველად უნდა დარჩეს, თორემ ხელად მოხდება რედაქციის ძალთა დაქუცმაცება, რაც არც „თანამედროვე აზრს" მისცემს ხელს და არც „სახალხო ფურცელს". მაინდა-მაინც ჩვენს დარაჯად ყოფნას ვერ მოვსთხოვთ „სახალხოსა" და „აზრს", მათ სულ სხვა საქმე აქვთ. აბა, სად სცალიათ მასწავლებელთა შორის თვითგამორკვევის შეტანისთვის, როცა პირადი ანგარიშები ვერ შეუსწორებიათ. მაგრამ ჟურნალი „განათლება"—კი, ცოტა არ იყოს, მეტი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს მასწავლებელთა საქმეს. რას ნიშნავს მისი ტონი ჩვენდა მიმართ! რას იტყვის, რომ შემთხვევით ეს ერთად ერთი პედაგოგიური ჟურნალი ხელში ჩაუვარდეს რომელიმე უცხოელს? თავის თავად ცხადია „საქართველოში ხალხის აღმზრდელად ტუტუცები (განათლების ტერმინია) დაუყენებიათო" იფიქრებს იგი. რა შთაბეჭდილება დარჩება უცხოელზე „განათლების" გაცნობის შემდეგ? მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზია, ჩვენი კლასი", აი მოკლეთ, ხალხურათ, ის დაწესებულება, რომელიც ოფიციალურათ გრძელს—ქუთაისის სათავად აზნაურო ქართული კერძო გიმნაზიის—ტიტულს ატარებს.

ასეთი დაწესებულება, რომელიც ყოველ წლიურათ საშუალოთ 70 აბიტურიენტს იძლევა, დიდის ყურადღების ღირსია. არა მარტო იმიტომ, რომ ის დიპლომიან ახალგაზდებს გვაძლევს, არამედ იმიტომაც, რომ, ხალხის ღრმა რწმენით, ამ გიმნაზიიდან სხვა გიმნაზიებთან შედარებით უფრო მომწიფებული, უფრო მომზადებული, ცხოვრებისთვის და ჩვენი ეროვნული საქმისთვის უფრო გამოზრდილ-გამოწრთვნილნი გამოდიან. ასეთია ხალხის აზრი და ბედნიერი ვიქნებოდით, რომ ეს მართლა ასე იყოს. ამდენ ინტელიგენტს, ცოდნით აღჭურვილს, ჩვენი ხალხი ოდნავ მაინც წინ უნდა წაეწია. მაგრამ საუბედუროთ, ამას ვერ ვხედავთ. იქიდან გამოსული ახალგაზდები ისევე იკარგებიან ცხოვრების ჩარხის ტრიალში, როგორც სხვა გიმნაზიის აბიტურიენტები და უმეტეს ნაწილათ ბიუროკრატიულ დაწესებულებათა შესავსებ მასალას წარმოადგენენ. როგორც ზევით ვთქვით, ხალხი სრულიად დარწმუნებულია, რომ გიმნაზიის საქმეები კარგ მსვლელობაშია, თავს არ იწუხებს მისი ბედით, თუმცა მას არც ნამდვილ ანგარიშს აწოდებენ.

ქართულ გიმნაზიაში მომხდარმა ინციდენტმა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩვენებურათ გაჩნდენ პარტიები, მაგრამ არც ერთი არ ცდილობს სიმართლის გამორკვევას, ქუთათურათ, ძველის წესით და ადათით, მსჯელობენ და ან ინსპექციას ყოლიფერში ამართლებენ და ბ-ნ ცინცაძეს ამტყუნებენ, ან და ცინცაძეს ამართლებენ და ინსპექციას ქოლავენ. ამასთანავე ერთი მეორის შესახებ საზიზღარ ჭორებს ავრცელებენ და ერთმანეთის გენეალოგიას გულდასმით იკვლევენ. ჩვენ აზრათ არა გვაქვს მსჯავრი დავსდვათ რომელიმე მხარეს და ამ წერილში არც კი შევეხებით ამ საკითხის გამო ატეხილ კამათს. ჩვენ უფრო სხვა რამ გვაინტერესებს.

გიმნაზიას ბევრი დადებითი მხარე აქვს და ბევრი უარყოფითიც და ეს გვავალებს სწორეთ ზოგიერთ რამეზე მივუთითოთ მკითხველ საზოგადოებას. ის ღრმა სიყვარული ამ დაწესებულებისადმი რომლითაც გამსჭვალულია ყოველი ქართველი, ვალსა გვდებს სრულის ობიქტიური თვალსაზრისით შევეხოთ ამ დაწესებულებას. რასაკვირველია, ბევრს რამეს ვერ ვიტყვით ცნობილი მიზეზის გამო, ბევრი რამე კი პედაგოგიური საბჭოს საქმეა და მან უნდა გაასწოროს ესა თუ ის ნაკლი. მათი გამომზეურება კი უხერხულათ მიგვაჩნია. ზოგიერთი დეფექტების გასწორება კი ყოველთვის შეიძლება, თუ სურვილი და მონდომა იქნება ინსპექციის მხრით.

ჩვენა ვსთქვით, რომ თავადაზნაურობას არ მიაჩნია ეს დაწესებულება ვიწრო წოდებრივ დაწესებულებათ და მისი კარები ყველასათვის ღიაა, მაგრამ გიმნაზიის ადმინისტრაციას კი ეს სასწავლებელი ვიწრო პარტიულ დაწესებულებათ მიაჩნია, და მაგრათ ჩაუურდულებია მისი კარები.*) რამდენია მისი მაგალითი, რომ ესა თუ ის მასწავლებელი არ მიიღეს ამ სასწავლებელში, რადგან ისინი ერთი განსაზღვრული მოძღვრების მიმდევარნი იყვენ. მათი ვინაობის დასახელება უხერხულათ მიგვაჩნია, მაგრამ ზოგიერთ მათგანს კარგათ იცნობს საზოგადოება, და არც ურიგო მასწავლებელნი ყოფილან არის სხვაგან ასეთი რამ შესაძლებელი? არა. თვით მთავრობა არ უხურავს მათ სასწავლებლის კარებს და ეს მასწავლებელნი კარგად გრძნობენ თავს მთავრობის დაწესებულებებში. და თუ ისინი იქ საფრთხეს არ წარმოადგენენ, რას ჩაიდენდენ იმისთანას, რომ ქართ. გიმნაზიის ბედი უკეთმა წასულიყო მათი შემოსვლითა და მოღვაწეობით. თუ მათი კვალიფიკაცია ნაკლები იყო სხვებთან შედარებით, ნუ თუ მთავრობის გიმნაზიაში უფრო ცუდი მასწავლებლებია, ვიდრე ჩვენსაში და ან აქაურები უკეთესები არიან იქაურებზე? არა გვკონია, რადგან ყოველ ცენზიან მასწავლებელს თვალი უჭირავს, რომ მალე ჩამოშორდეს ქართ. გიმნაზიას ბევრი სხვადასხვა მიზეზებისა გამო. აი ერთი დიდი ნაკლი, რომელიც ჩვენის ღრმა რწმენით, აფერხებს სწავლა-აღზრდის საქმეს ქართ. გიმნაზიაში. გახსენით კარები და იმას კი ნუ მისდევთ ვინ რა მიმართულებისაა, ის გაარჩიეთ, ვინ როგორი მასწავლებელია და ის ამოირჩიეთ, ვინც ცოდნით უფრო ღირსეულია. და მაშინ ნახავთ, რომ გიმნაზია უფრო ამაღლდება, გამაგრდება და მეტს სიმპატიასაც მოიპოვებს. **რა უნდა საშუალო სასწავლებელში პოლიტიკას?** ის უნდა იყოს მხოლოთ საფეხური მაღალი სასწავლებლისათვის, ის უნდა ამზადებდეს მოქალაქეს და ყველა იმ აზრით უნდა იყოს გამსჭვალული, რომ მას აბარია ნორჩი არსება, რომელიც უნდა ცხოვრებისთვის მოამზადოს.

ასეთი დეფექტი დიდს გავლენას ახდენს მოწაფეთა წარმატებაზე და მათ ზნეობაზე. საზოგადოთ ცნობილია, რომ ჩვენი მოწაფეები უფრო თამამათ გრძნობენ თავს, ვიდრე სხვანი. ამის მრავალ მაგალითს ჩვენ ქუჩა გვაძლევს. ნაკლები დისციპლინა, მეტი გამბედაობა, ხშირათ მუშტი-კრივიც. მეტყვიან, მოწაფე გამბედავი, ყოჩაღი უნდა იყოსო. კი, მართალია, მაგრამ მას არასოდეს არ უნდა აკლდეს ამასთან შეხამებული თავაზიანობა, ზრდილობა, ელეგანცია და სულიერი სიფაქიზე და რუსები რომ იტყვიან—„скромность". ამ მხრით ქართ. გიმნაზიის მოწაფეები ბევრს სასურველს სტოვებენ. ინსპექციამაც იცის ნაკლი და წლის დასაწყისში შეიქნება ბჭობა: „ეს ასე აღარ შეიძლება, ჩვენ უნდა გავმკაცრდეთ, თორემ ჩვენი მოწაფეები ცუდს გზას ადგებიანო". შეიქნება ერთი ფათური. განკარგულებანი სცვივიან, ვით ბედნიერების რქიდან. მაგრამ ყველამ, მოწაფემაც და დამრიგებელმაც, იცის, რომ ეს ამბავი მხოლოთ ჰუმბუგია და მხოლოდ რამდენიმე კვირეს გასტანს. შემდეგ ინსპექცია ისევ ფრონტს იცვლის და მოწაფენიც თავისუფლათ გრძნობენ თავს.

ესეც მეორე დიდი ნაკლი. რკინის რეჟიმი, რასაკვირველია, ნორჩი არსებისათვის სასურველი არ არის, მაგრამ სათანადო წესი კი უნდა იქნეს დაცული. მოწაფის თვალში ინსპექციასაც ეკარგება ფასი და აღმზრდელ-დამრიგებელსაც. მასწავლებელი ხომ მოწაფის ხელქვეითად ხდება, რადგან ხშირათ ინსპექცია მასწავლებლის შემუშავებულ გეგმას აქარწყლებს მოწაფეთა სასარგებლოთ და მოწაფეც თავმომწონეთ იცინის და თავის მასწავლებელს თითს უჩვენებს. შეიძლება ითქვას: ძნელია ამდენი მოწაფის თავის გართმევა,—ან: აქაც იგივე ხდება, რაც სხვა სასწავლებელშიო, მაგრამ ამაზე კი უკეცრავათ—ბევრია მოწაფე?—ბევრი და მეტი მეთვალყურე-აღმზრდელი მიუჩინეთ, იქონიეთ მასთან უფრო მჭიდრო კავშირი, მიეცით მეტი დარიგება, რომ გზას არ ასცდენ. სხვაგან რაც ხდება, ის ჩვენთვის სამაგალითო და სავალდებულო არ არის. ჩვენ ჩვენ თავს სხვაზე მაღლა ვგრძნობთ, ჩვენი ხალხი გვყავს სათავეში და მათგან მოვითხოვთ, „სხვასავით" ბიუროკრატიულათ, შაბლონურათ არ მოიქცეს; უფრო თანამედროვე ზომები იხმაროს, რომ მისი ხელქვეითი მოწაფეები „სხვისაზე" უკეთესნი გამოვიდენ. თორემ ეს რას ემგვანება: სხვა გლახაა, მაშ მეც გლახა უნდა ვიქნეო?!

თუ ზნეობრივათ რომელიმე მოწაფე დაქვეითებულია, არც გონებრივათ იქნება იგი ძალიან მაღალ საფეხურზე. ამ მხრითაც ჩვენს მოწაფეებს ბევრი რამე აკლიათ. მაგრამ აქ ამაზე ლაპარაკი უხერხულათ მიმეჩნია: ეს პედაგოგიური საბჭოს მოვალეობაა. უსათუოთ უნდა მოიძებნოს გზა და საშუალება, რომ ჩვენი მოწაფეები გონებრივათ სხვაზე მაღლა იდგენ და უნდა მოისპოს ის წესი, რომელიც დღეს გამეფებულია გიმნაზიაში. ერთი-ორი მასწავლებლის ცდა ამ მხრივ უნაყოფო იყო დღემდის და უნაყოფოთ დარჩება შემდეგშიც. აქ საჭიროა ერთ სულოვნება, ინსპექციის და კორპორაციის ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა. შეიძლება ვინემ სთქვას: ქართ. გიმნაზიის მოწაფეები მთავრობის სასწ. მოწაფეებს არ ჩამოუვარდებიანო. ეს საკმარისი არ არის. მთავრობის სასწავლებელს სრულიად აზრათ არა აქვს ის, რაც ჩვენა გვაქვს განზრახული და რასაც ჩვენ მოვითხოვთ ჩვენის დაწესებულებისაგან. იქ (მთ. სასწ.) ამზადებენ მოხელეებს. მთავრობას აზრადაც არ მოსვლია ქართველებისთვის საჭირო პირები აღზარდოს, მისი მისწრაფება უფრო ფართოა: იქ ამზადებენ რუსეთის წესწყობილებისთვის საჭირო პირებს, ჩვენ კი გვჭირდება ხალხისთვის მომზადებული, მომქმედი ინტელიგენცია. მისი მომზადება მეტი უნდა იყოს და ეს უნდა განხორციელდეს, რამდენათაც ფართოთ მოსახერხებელია სამინისტროს პროგრამის ფარგლებში. ვერ შევასრულებთ ამ პროგრამას და ჩვენ მოთხოვნილებას? იმდენი მაინც უნდა ვეცადოთ, რომ მათ დავუახლოვდეთ, რომ სულ მოუმზადებელნი არ ვიქნეთ. ის მომზადება კი, რომლითაც დღეს ქართ. გიმ. მოწაფეებს თავი მოაქვთ, ძლიერ მინიმალურია და ისინი ამას ალბათ კარგათ გრძნობენ უნივერსიტეტის აუდიტორიებში. X.

(დასასრული ხვალ)

*) რედაქცია სხვა მიზეზითაც ხსნის ამ კარჩაკეტილობას და თავის აზრს შემდეგ გამოსთქვამს.

გზა, გზა მომეცით!

გზა, გზა მომეცით, გზა დამიცალეთ,
ხელში მიჭირავს ჩანგი ბრძოლისა;
მე მივალ იქა, სადაც არ მეფობს
ხევდა, ვაება ამა სოფლისა!

—

სოფლისა წყლული ჩემად ვიცანი
და ამიკვნესდა, ამტკივდა გული;
შურის ძიების ჰიმნი დავწანი,
ვით ქარიშხალი, გააფთრებული.

——

ცეცხლად ავანთებ მე ჩემსა გულსა,
მტარვალთ ცის რისხვად მოვევლინები,
შავს ღამეს დავსწვავ, ლხენას ჩვეულსა
მისთვის ავაწყვე ჩანგზე სიმები.

——

გზა, გზა მომეცით, გზა დამიცალეთ,
ხელში მიჭირავს ჩანგი ბრძოლისა;
მე მივალ იქა, სადაც არ მეფობს
სევდა, ვაება ამა სოფლისა!

ალ. რიონისპირელი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტის ძრომა. კვირას, 19 ივლისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა კავკასიის სამხედრო—სამრეწველო კომიტეტის ქუთაისის განყოფილების პირველი კრება. კრებამ გამგეობის თავჯდომარეთ აირჩია ქუთ. ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, პრეზიდიუმში აირჩეს, გიორგი ფ. ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, ქუთ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირეკტორი ბ-ნი ვიშნევსკი, რაჟ. აარ. დათეშიძე და ქ. ქ. ფოთისა და სუხუმის ნავთსადგურების მუშაობის გამგე სერგიევი, მდივნათ არჩეული იქნა ქალაქის გამგეობის წევრი პავლე ივანეს ძე მოსიძე. კრებამ პრეზიდიუმის წევრებს დაავალა: 1) შეკრიბონ ცნობები თუ რა დახმარება შეუძლიათ ქუთაისის მცხოვრებთ, აღმოუჩინონ ჯარის კაცებს და 2) მიენდოს გ. ზდანოვიჩს, ცეიტლინსა და სერგიევს შეკრიბონ ყოველივე ცნობა თუ ქუთაისის გუბერნიაში არსებულ ქარხნებში რა სამხედრო იარაღის დამზადება შეიძლება. ეს ცნობები წარდგენილი უნდა იქნეს 1 აგვისტომდე. შემდეგი კრება დანიშნეს 20 აგვისტოსათვის. მთავარ გამგეობაში რწმუნებულებათ აირჩიეს ქუთ. ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი და ფოთის ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი ტყემალაძე. წევრების სიას შემდეგ მოვათავსებთ.

✦ **ტყვე-ოსმალები.** 19 ივლისს, ღამის მატარებელით ქუთაისში ჩამოიყვანეს ოსმალების 150 სამხედრო ტყვე, რომელნიც საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. ამ დღეებში ამ ტყვეებს შავი ზღვის პირათ გზავნიან რკინის გზის სამუშაოებათ.

✦ დღეს, დ. ჭიათურაში კრებების გასამართავათ გაემგზავრება შავიქვის საბჭოს მთელი შედგენელობა. კრება ჭიათურაში რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

✦ ოთხშაბათს, 22 ივლისს, ქალაქის თეატრში თამარა-ივანიძე-ჩარკვიანის სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება, „ქოჩრიანი ტოროლა".

✦ სამხედრო ბინისათვის ბ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას ხაზინიდან გაუგზავნა 2,800 მანეთი.

19 ივლისს, ქუთაისში პოლიციელებმა, რამდენიმე ოჯახში ჩხრეკა მოახდინეს. საწინააღმდეგო არარა უნახავთრა.

✦ დღეს, საოლქო სასამართლოს სისხლის განყოფილება გაარჩევს ანდრონიკ შარანგიას და გერმანე შორიას საქმეს.

სურსათი. 13 ივლისიდან 18 ივლისამდის ქუთაისში შემოვიდა შემდეგი სანოვაგე: პურის ფქვილი 11 ვაგონი და 349 ფუთი, სიმინდი 10 ვაგონი, გზე 1 ვაგონი, თივა 2 ვაგონი, შაქარი 1 ვაგ. და 76 ფუთი, შეშა 6 ვაგონი, ქვანახშირი 3 ვაგონი, მაზუთი 1 ვაგ., მარილი 4 ვაგონი და ცემენტი 1 ვაგონი.

თავად-აზნაურობასაც უნდა დახმარება.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა უმრავლესობა ისეთივე ღარიბები არიან და ამ საერთო უბედურების—შიმშილობის დროს ისეთსავე დახმარებას ითხოვენ, როგორც გლეხ კაცობა. ამას თვით მთავრობამაც მიაქცია ყურადღება, მაგრამ თუ მათ სასარგებლოთ ჯერ არაფერი გაკეთებულა, ლებლები „უვიცები" არიანო—მეტი არაფერი.

როცა ერთი, ან რამოდენიმე კაცი დანაშაულს ჩადის, პასუხს მთელ ხალხს სთხოვენ! განა ამაზე შორს შეიძლება წავიდეს, მკითხველო, საზოგადოების აბუჩად აგდება? ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მოწაფეები არ მიიღეს—რა ჩოხატაურელი მასწავლებლების ბრალია? რასაკვირველია, არა, მაგრამ მასალა იშოვნეს და ჩაებღაუჭენ, პასუხს არავინ მოსთხოვს და მონავარდე ინტელიგენციასაც ეს უნდა. მათი დევიზია—მასწავლებელთა განადგურება, საშვალება—გაზეთის ფურცლებზე ლანძღვა-გინება. მე მწამს, დამნაშავეთა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, მართლის შეურაცხყოფა—კი უწესოებაა. კაცი, როცა მას უბრალოდ სდევნიან, ბუნებრივად ეძებს გამოსავალს გზას, სცდილობს დაარწმუნოს მისი მოწინააღმდეგენი თავის უდანაშაულობაში და, როცა ამას ვერ შესძლებს, ხშირად ეცემა სულით და მომავალში მართლა დამნაშავედ ხდება. ამას თანამედროვე „პუბლიცისტები" ვერ ხედავენ, ისე არიან გატაცებული რაიმე განსაზღვრული ახლად მიღებული შთაბეჭდილებით, ან და ძველად, ერთხელვე მათის აზრის შემჯაჭველი საგნისაგან. რამდენიც გნებავთ, უმტკიცეთ, რომ ის სცდება, მაინც თავისას გაიძახის და, ბოლოს, შერიგების მაგიერ, ძალა სუსტდება. განა ცოტა არის ამისთანა მაგალითები? დიახ, ბევრია, მაგრამ თუ ვინმემ ახალი მიმდინარეობა შექმნა, თუ გინდ იგი მიმდინარეობა რეალურ ჭეშმარიტებასთან ძალიან დაშორებულიც იყოს, მაინც ჩვენს ქვეყანაში ნიადაგს იპოვნის. თავდაჭერილი, ზრდილობიანი მსჯელობა გუშინდელ გულითადს მეგობრებსაც არა აქვთ, თორემ ჩვენს შესახებ, რომლებიც საუკუნეებით დევნას განვიცდით, ვინ მოიქცევა წესიერად და უკუაგდებს სიბოროტეს?

ვსთქვათ, ჩვენი დამცველის როლში გამოვიდა რომელიმე ჯგუფის ორგანო, მერე იგი გაგვიწევს შესაფერ სამსახურს? სრულიადაც—არა, რადგანაც მიმართულების სიჭრელე მასწავლებლებშიაც არის და ერთს რომ ერთი ორგანო მოსწონს, მეორე მი'ი დაუძინებელი მტერია; ამრიგად რომელიმე ჯგუფისათვის თავის შეფარება ჩვენ ხელს არ მოგვცემს და ამიტომ საჭიროა, ახლა მომავალში დავიარსოთ საკუთარი, უპარტიო, წმინდა პედაგოგიური გაზეთი, რომელიც ხელში ექნებათ მხოლოდ და მხოლოდ სახალხო მასწავლებლებს.

გაზეთის დაარსება მით უფრო მიუცილებელია, რომ პედაგოგიური კითხვების შესახებ მასწავლებლებსაც საშუალება მიეცემათ თავისი აზრი გამოსთქვან და მით ამცნონ საზოგადოებას, რომ ისინიც მომზადებულად, ნათელის თვალით უყურებენ ცხოვრების ვითარებას. ამას გარდა ყველა დარგის მოღვაწეების მდგომარეობას აუმჯობესებენ და ჩვენზე არავინ არ ზრუნავს, აქაც ხომ საკუთარი ორგანო დიდს სამსახურს გაგვიწევს.

აწ ვიკითხოთ, რას უნდა ემსახურებოდეს ჩვენი გაზეთი და რა შინაარსის უნდა იყოს იგი?

ყოველი პერიოდიული გამოცემა, ყოველი ბეჭდვითი ორგანო, ეჭვს გარეშეა, წინ უნდა მიუძღოდეს იმ ხალხს, რომლის მრწამსსაც აღიარებს და რომელსაც სურს სამსახური გაუწიოს. ჩვენი მრწამსი-მდაბიო ხალხის სამსახურია და ამ უკანასკნელს უნდა ემსახურებოდეს ჩვენი გაზეთიც. ჩვენ გვინდა წინ წაწევა ჩვენის ერის, როგორც სულიერად ისე მატერიალურად და ჩვენი გამოცემაც მხოლოდ ამ დარგს უნდა ეხებოდეს. ხალხის მატერიალურად გაუმჯობესებისთვის საჭიროა საამხანაგო დაწესებისა და საკრედიტო დაწესებულებათა საქმის მოწესრიგება, მეურნეობის გაუმჯობესება და სმზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა—ჩვენს გაზეთში ამ დარგიდან უნდა თავსდებოდეს წერილები. ერის კულტურულად აყვავებისთვის მიუცილებელია სამკითხველოების, საკვირაო სკოლების, განმანათლებელი საზოგადოების და თეატრების მოწყობა. ჩვენი ორგანო ერთგულად უნდა დარაჯობდეს ამ განყოფილებებს. სკოლებში მიუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია სწავლისა და აღზრდის გაუმჯობესება—ჩვენმა ორგანომ ამას მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს. მასწავლებლები უუფლებო უსალსრონი არიან—ჩვენი გაზეთი ამის შესახებ ლაპარაკს დიდს ყურადღებას უნდა აქცევდეს. არამკითხე მესვეურები ფეხ-ქვეშ გვთელავენ.—ჩვენი ორგანო მათ პასუხს უნდა აძლევდეს. ჩვენ ბევრი ჟურნალ-გაზეთების გამოწერა არ შეგვიძლია—ჩვენს ორგანოში საყურადღებო ამბები უნდა იბეჭდებოდეს. მიყრუებულს სოფელში მარტოდ ობლად დათენილს მასწავლებელს აღშფოთებულს სულს უმშვიდებს პოეტური ნაწარმოები- ჩვენს გაზეთში მხატვრული წერილები უნდა ისტამბებოდეს. მასწავლებლები სხვა და სხვა მიმართულების არიან—ჩვენი გაზეთი ყოველივე პოლიტიკური პარტიის გარეშე უნდა იდგეს და არამც და არამც თავის ფურცლებზე რომელიმე ჯგუფის სასარგებლოდ სტატიებს არ უნდა ათავსებდეს. ჩვენი ლოზუნგია—სწავლა-აღზრდის საქმის მოწესრიგება, საშუალება—კი ფართო მასის გათვითცნობიერება—აქ ჩვენმა ორგანომ შესაფერი სამსახური უნდა გაგვიწიოს.

რადგანაც დღეს-დღეობით საკუთარი გაზეთის დაარსება ძნელია, დაუბრუნდეთ ისევ „განათლებას" და ვიკითხოთ, ასრულებს თუ არა იგი ამ მოთხოვნილებებს? მოკლედ გეტყვით—არა. შეიძლება, რედაქციას სურვილი ჰქონდეს, მაგრამ რაღაც მანქანებით ვერ ახერხებს მივს განხორციელებას და ვერც მოახერხებს, თუ სათავეში ნამდვილი სახალხო მასწავლებლები არ ეყოლა. ამიტომ საჭიროა მოვითხოვოთ, ბ. ბოცვაძემ ყოველკვირეულად გადააკეთოს თავისი ჟურნალი და გადასცეს მასწავლებლებს; თუ ამას არ იზამს, მაშინ ჩვენ უნდა ვეცადოთ, საკუთარი ძალ-ღონით შეუდგეთ ჩვენი გაზეთის გამოცემას. მხილება და დამნაშავის ძებნა გასახარელია, მაგრამ მასწავლებელთა მასიური დევნა პედაგოგიურს ჟურნალს არ ეპატიება. როგორ არ ახსოვს ბ. ბოცვაძეს სახ. სათათ. ს. დ. ფრაქციის ორად გაყოფა; განა ადგილობრივი მარქსისტული გაზეთები მთელი ქვეყნის ს. დ-ს აგინებდენ? დიახ, არა—ისინი მხოლოდ დამნაშავეებს სდებდენ ბრალს და რატომ „განათლებაც" ასე არ სჩადის, თუ ის სახალხო მასწავლებელთა ორგანოა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ „განათლება" ჩვენ კი არა სხვას ემსახურება და ამიტომაც საჭიროა, იგი გარდაიქმნეს; თუ ამაზე დასთანხმდება ეხლანდელი რედაქცია ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ—სახალხო მასწავლებლები—სხვა გზას უნდა დავადგეთ. ეს აზრი კერძო ლაპარაკში ბევრს სახალხო მასწავლებელს გაუზიარებია ჩემთვის და, იმედია, აწ საზოგადოდაც გაიმეორებენ მას.

ნარქანი.

თავად-აზნაურობასაც უნდა დახმარება.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა უმრავლესობა ისეთივე ღარიბები არიან და ამ საერთო უბედურების—შიმშილობის დროს ისეთსავე დახმარებას ითხოვენ, როგორც გლეხ კაცობა. ამას თვით მთავრობამაც მიაქცია ყურადღება, მაგრამ თუ მათ სასარგებლოთ ჯერ არაფერი გაკეთებულა,

ეს უნდა მიეწეროს თავად-აზნაურობის მეორე ნაწილის მოღვაწეობას. მე მოგახსენებთ თავად-აზნაურობის იმ ნაწილზე, რომელიც მთელი თავად-აზნაურობის სახელით მოქმედებს და ლაპარაკობს. ეს ისინი არიან, რომელთაც მოუხერხებიათ ყველა თავად-აზნაურულ დაწესებულებებში მოკალათება და გამძღარ-გამთბარნი იცავენ თავად-აზნაურულ „სისხლს და ღირსებას“ და თავიანთ მშიერ მოძმეებს ეუბნებიან: „ვშიოდნენ, მაგრამ დახმარების თხოვნას კი ნუ იკადრებთ“-ო და თუ რჩევა- დარიგებით ვერას ხდებიან თავად-აზნაურობის განაჩენებს დახმარების შესახებ და სიებს იმ პირთა, რომლითაც დახმარება ეპოვრება დეპუტატთა საკრებულოში აგროებენ და მსვლელობას არ აძლევენ.

ამის გამო ამ დღეებში დეპ. ჩხენკელს მიმართა გურიიდან ამოსულმა ერკეთის საზოგადოების აზნაურთა დეპუტაციამ და სთხოვა შუამდგომლობა ბ-ნ გუბერნატორთან, რათა მთავრობას აღმოეჩინა დახმარება სასურსათო თანხიდან, როგორც თავად-აზნაურობისთვის, ისე სასულიერო წოდებისთვის. დეპუტატმა ჯერ მიმართა ოზურგეთის მაზრის უფროსს ზოგი ერთი ცნობებისთვის და შემდეგ ბ-ნ გუბერნატორს ზემოხსენებული შუამდგომლობით. ბ-ნი გუბერნატორი შეჰპირდა დეპ. ჩხენკელს შუამდგომლობის დაკმაყოფილება და მაშინვე მოსთხოვა ოზურგეთის მაზრის უფროს სია იმ პირთა, რომელთაც ეჭვრებათ დახმარება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი გუბერნატორი დანაპირებს შეასრულებს, მაგრამ ამასთანავე იბადება კითხვა — თავად-აზნაურობის დეპუტატთა კრებული, რომელიც განაგებს თავად-აზნაურთა საქმეებს, რატომ არ ცდილობს ასეთ გამონაკლისს შემთხვევაში, როგორიც ეხლანდელი შიმშილობაა, სესხის მიცემა მაინც შესძლოს ღარიბ თავად-აზნაურობისათვის იმ თანხიდან, რომელიც ამ უკანასკნელთაც ეკუთვნის, თორემ მარტო ის სურვილი, რომ თავად-აზნაურობა გლეხ-კაცობამდის არ „დაქვეითდეს“ მშიერს ვერ გააძღებს.

ბ.

დაბა-სოფელი.

სოფ. დგვრისი (გორის მაზრა). ცხინვალის მახლობლათ მდებარეობს ერთი მშვენიერი კუთხეთაგანი ჩვენი კეკლუცი სამშობლოსი. ეს სოფელი ნამდვილი ქართველია, მცხოვრებნი უმრავლესობა ქართველებია და ნამდვილი ქართული სულიც უნდა ტრიალებდეს აქ, ფიქრობს კაცი, როდესაც იგი ფეხს შედგავს ამ სოფელში, მაგრამ აზრი გამოეცვლება, რა გაეცნობა იგი ამ სოფლის სინამდვილეს. ენა შერყვნილი და უცხო-უცხო სიტყვებით გადაგვარებული. ინტელიგენციას თავისი საკუთარი ფიზიანომია დაუკარგავს, ენერგია მუშაობისა ვიღაცისათვისაც მიუბარებია და საზოგადო საქმისთვის ისევე მუშაობს, როგორც ყოველივე ჩვენთაგანი ჩინური ლიტერატურისთვის. სამაგიეროთ ყოველ საღამოს ჭიდაობას და დიდ ცეკვას მართავს, ერთობა რაღაცა არა ქართული თამაშით, როგორც მაგალითად "Чью душу жилаете" და არა მშობლიურ ენაზე სხვადასხვა სახელს გაჰკივის. (ჩვენ ქართველებს ამგვარივე თამაში გვაქვს, რომელსაც სახელად ნიშა-ნიშს უწოდებენ).

გაახილეთ თვალები ქართველო ინტელიგენტებო, დაინახეთ რანაირი შავი ყორანი დაგჩხავით თავს და თქვენ მოსპობას ლამობს, მიმოიხედეთ რა ხდება თქვენს გარშემო, რა პირობებში არიან თქვენი თანამოძმენი, აღაშენეთ თქვენსა და გლეხობის შუა ჩატეხილი ხიდი, შეიტანეთ ნათელის შუქი იქ, სადაც თქვენ იმყოფებით. არც სამკითხველო არც სხვა კულტურული დაწესებულება არ მოგეპოებათ სოფელში, ხალხის შვილნი— მიეშველეთ ხალხს და მით ხსნა მიეცით ჩვენს მრავალ ტანჯულ ქვეყანას.

დიდი იმედი მაქვს სიმონ მაჭავარიანისა, რომელიც ახლა სამშობლოში იმყოფება და სოფლისათვის ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია.

უკანასკნელ საღამოს, როდესაც მე იქ ვიმყოფებოდი, ვერ დავმალე ჩემი აღშფოთება და გამოუცხადე თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამ გვარ უქმობას. შევიტანე წინადადება, რათა დაჯარიმდეს ყველა ის პირი, თითო კაპეიკით, რომელიც ქართულ ბაასში უცხო სიტყვას გაურევდა. წინადადება გავიდა და იმ საღამოს ჩემგან შეგროვილი იყო 55 კაპ. აპარლების სასარგებლოთ. ამავე პირთა სასარგებლოდ გიორგი დავითაშვილმა შემოსწირა 1 მან. 97 კაპ. ამ ფულს ვუდენ რედაქციას და ვსთხოვ დანიშნულებისამებრ გადასცეს ჩვენ დარბეულ მოძმეთ.

გადადგმულია პირველი ნაბიჯი, ნაბიჯი ძლიერ სიმპატიური და ამ ნაბიჯით წინ სვლას განაგრძობენ სიმონ მაჭავარიანი და ელ. დავითაშვილი, რომელნიც მათ მიერ შეგროვილ ფულს დაუყოვნებლივ „სამშობლოს“ რედაქციას გაუგზავნიან.

უსურვებ დაწყებულ საქმეს წინ სვლას და ამ მოკლე ხანში სამკითხველოს დაარსებას. ძალასა და ენერგიას ყველა შეუძლია—ეს კი ინტელიგენციაში მოიპოვება.

ანდრო ბერეკაშვილი.

ღია წერილი

ქუთაისის ქალაქის თავს ბ—ნ. ილია მანუჩარას ძეს ჩიქოვანს.

დიდათ პატივცემულო, ბ. ილია მანუჩაძის ძევ! ვერ წარმოიდგენ ჩვენს, ბალახვანის ქუჩაზე მცხოვრებთა მდგომარეობას, 25 ივნისს მდინარე რიონის წყალდიდობიდან მომხდარ უბედურობას, რომელიც ჯერ ქუთაისს არ მოსწრებია. დღეს, ისედაც უკიდურეს მდგომარეობაში დღევანდელ პირობებში მცხოვრებლებში გავნადგურდით, წყლიდან გადარეცხილ ეზო და დანგრეულ სახლებს რომ შეხედოს ადამიანმა, ტირილი მოუვა. სტირიან ყველანი თავიანთ უზომო ზარალს. ზარალი თითოეული მცხოვრების ეს მანეთიდან ოცი ათასამდი ადის და სულ მთელი ზარალი მცხოვრებლების ასი ათას მანეთს შეადგენს. ზოგი სახლები, რომელიც ამ უბედურობის შემდეგ გადარჩა, დანგრეული არის გადამდგარი მდინარეზე და ყოველ გაწვიმების დროს მოელის ხელახლა განადგურება. აბა პატრონები სად უნდა წავიდნენ და მოცილდნენ თავიანთ ცხოვრებას? უსახსრობის გამო ისევ აუმჯობესებენ შიგ ცხოვრებას, ვიდრე მოცილებას და უბინათ ყოფნას. ამიტომ ბალახვანის ქუჩაზე ყველა მცხოვრები მოგმართავთ თქვენ, როგორც წინამძღოლს ქ. ქუთაისის მცხოვრებლებისას და მათ ნივთიერი ინტერესების დამცველს და უმორჩილესათ გთხოვთ ზოგი **ჩვენას დახმარებით** და ზოგიც ქალაქის ხარჯით მიიღოთ ზომები არა უგვიანეს მომავალ მარიამობისთვისა და გაგვიკეთოთ ამ უბედურობის ასაცილებლათ სამი ქვის დამბა, რომელიც შეადგენს დაუვიწყარ თქვენს მოქმედებას და მით გამოგვიხსნი ყოველდღე უზომო მწუხარებისაგან.

ბალახვანის მცხოვრებლების მონდობილობით.

მ. ლაღიაშვილი.

პასუხი გატონ პალესტინელს.

წავიკითხე, ბატონო „პალესტინელო“, თქვენი წერილი ჩემდამი. აღვიარებ სიმართლეს, რომ ჩემ სიხარულს საზღვარი არა აქვს, იმიტომ, რომ თქვენ ეკუთნით საქართველოს ისრაელებს, რომლების გულისთვისაც მე ეს თერთმეტი წელიწადია ვსტირი და მათ შორის ისეთი თან.მგრძნობი ვერ მ.პოვია, რომ ამოეღოს ხმა ჩვენი ერის სულიერი საჭიროებისათვის. თუ გამოვაკლებთ ზოგიერთ გადაჭარბებულ სიტყვას საქართველოს რაბინების შესახებ, წერილი დიდათ სამართლიანია და მასთან ერთად წერილში გამოსქვივის ჩვენი ერის სიყვარულიც. მე არ შემიძლია პასუხი არ გაგცე თქვენ ორ შენიშვნაზე: 1) „დრო შეიცვალა და რაბინების მოღვაწეობაც შეიცვალაო; მათ სახელის მეტი აღარა დარჩენიათ რაო“.

თუ მარტო საქართველოს რაბინებზე ამბობთ ამ სიტყვას—ეს სხვაა, თუ საერთოდ ებრაელების რაბინებზე—ეს სწორი შეხედულება არაა. როგორც სული სხეულის მაცოცხლებელია და უმისოთ იგი მკვდარია, ისე არიან ებრაელების ერისთვის მისი რაბინები: თუ ებრაელები გადარჩენ მოსპობას — ეს სულ რაბინების მეთაურობით იყო, რომლებიც თავის პირადობას თავის ერს სწირავდენ და დღევანდელი რაბინებიც ყველგან ასე არიან; ჩვენს ისტორიას ბევრი დიდი პირი და ბევრი არაჩვეულებრივი გენიოსი წამოუყენებია, რომელთაც თავისი შრომა ტუპრატესობა ჩვენი ერისთვის მოუხმარებიათ. აი, ამის მაგალითებიც:

როდესაც ხივი-ბალხი აღსდგა არაბეთში და შექმნა ახალი სჯული დამყარებული ფილასოფიაზე, მან ბევრი სჯული ჩაყლაპა და ჩვენ სარწმუნოებასაც დაეტაკა მისი ფილოსოფია და სულიერათ დიდი ზიანიც მიაყენა, იცით ვინ იხსნა მაშინ ჩვენი სარწმუნოება კატასტროფიდან? ეს გახლდათ ღარიბი სოფლის ღატაკი რაბინი სეყადია გაონი, რომელმაც ათი წელიწადი კალმით იბრძოლა და გააქარწყლა ბალხის მცდარი ფილოსოფია; იცით, ვინ გამოუძღვენ ისრაელებს წინ როცა ისპანიიდან გამოდევნეს? ეს გახლდათ რაბინი ისხაკ ბარბონელი,

რომელიც იყო ისრაელების რაბინი და ამავე დროს ისპანიის მინისტრი. მან მეფე ფერდინანდის ბრძანებაზე: "შენ არ შეგეხება განდევნის განკარგულება და დარჩები ისევ მინისტრადაო“, მეფეს შემდეგი მიუგო: თუმცა, მართალია, თქვენი მინისტრი ვარ, მაგრამ ამასთანავე მე ვარ რაბინი ჩემის ერისა, მინისტრობასა და კეთილ ცხოვრებას კი შეველევი, მაგრამ გაჭირვებულ ძმებს არ დავშორდებიო; მათთან წავალ, მათთან ვიტანჯვი და მათთან ერთად დავიმარხებიო. და, რადგანაც მეფემ იგი ველარ შეიპყრო—მის ქონებას კონფისკაცია უყო და გუდა აკიდებული ტანჯულ ძმებს წინ წამოუძღვა.

ვალოზინის რაბინმა, რაბი ხაიმმა ასი წლის წინათ დააარსა უმაღლესი აკადემია (რეშიბა), სადაც ათას მოწაფემდი სწავლობდა გამუდმებით; იცით რა ქონდა ჯამაგირი? თვეში თუთხმეტი მანეთი; ეს რაბინი იყო, რომ რუსეთში, რაც დიდი რაბინები იყვნენ როგორიც რ. ი. ელხანანი და სხვები, პროფ. შაფირა ხვოლსანი და ცნობილი ვექილი კუპერნიკი და სხვა ჩვენი დიდი პირნი-ყველა ამ შიბამ აღზარდა, დღესაც ასე გვიზდის ეს სასწავლებელი ძვირფას შვილებს იგივე, იმ ძველი რაბინების სულითა და არსებობით. აბა მიჩვენეთ კუთხე, სახელმწიფო და ქალაქი თუ ყველგან რაბინებით არ სდგას ჩვენი ერის სული! გალიციაში ერთი რაბინი ბ. სერეტე 30 წელიწადი დეპუტატათ იყო ვენის პარლამენტში და თავისი ქალაქი სავსე ქონდა სხვადასხვანაირი სასწავლებლით. ეს მხოლოდ მაგალითები მოვიყვანე, თორემ თვით რაბინების მოქმედების აღწერას წარსულსა და აწმყოში მარტო ისტორიკოსი შესძლებს და დიდი წიგნიც დაიწერება.

რაბინების მოღვაწეობა მარტო ლოცვას არ შეიცავს. იგი მთელ კულტურულ თუ პოლიტიკურ ეკონომიურ თუ სოციალურ ცხოვრებას თვალ ყურს გაკაფულ გზას, იბრძვის აღზარდოს მოზარდი ვაჟები და ქალიშვილები ეროვნულათ და რელიგიოზურათ. ასე იყვნენ წინანდელი რაბინები და დღესაც ასე არიან. ხოლო თუ ამას ვერ ვხედავთ საქართველოს რაბინებში, აქ სულ სხვა მიზეზებია, რომელიც არ მსურს გამოვაქვეყნო გაზეთში.

თქვენ მისაყვედურებთ: რატომ აქამდი ხმას არ იღებდიო? ძვირფასო პალესტინელო! ის არ შემიძლია დაგანახო თუ რა გამიკეთებია მაგრამ ეს კი შემიძლია მოგახსენოთ: ბევრი ვიმუშავე მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, მიზანს ვერ მივაღწიე. როგორც ზემოთ ვსთქვი, რაბინები არიან ჩვენი სულის ჩამდგმელი მეთქი, იმიტომ მივმართე მათ, რომ ჩემი აზრები საქართველოს ისრაელების მომავალზე გამეზიარებია მათთვის; დავიარე ბევრი ადგილი, გავაცანი ყველას ჩემი აზრი, ბევრმა ძალიან მოიწონა და კიდეც დამთანხმდენ მის განხორციელებას; უნდა ვსთქვა, რომ ყველაზე გულ-მხურვალეთ შემხვდა სუჯუნის რაბინი ბ. მიხეილ ელიაშვილი, მაგრამ ვისაც უკავია საუკეთესო ადგილი და უიმათოდ ჩვენი აზრების განხორციელება შეუძლებელი იყო, მან გამოაცხადა უარი, ადგა განზე და შეგვხვდა ომით, ხალხში თავის გასასამართლებლათ მოყავდა შემდეგი გაზეპირებული საბუთი: „სარწმუნოებას ეწინააღმდეგებაო“. აბა, გაიგოს ყველამ—იყო ჩემ აზრებში სარწმუნოების შერყევა, თუ, პირიქით, მისი გამაგრება.

— თუ რა იყო, ჩემი პროგრამა ამაზე ხვალ.

დ. ბაბაზოვი.

(დასასრული ხვალ.)

ორიოდე სიტყვა.

„დე—ზ“-ს.

უპატრულ ადამიანთან კამათი—წყლის ნაყვაა. შეურაცხყოფა მომაყენეთ, მომატყუელეთ, დამცინეთ და ეხლაც დამცინით, თან თვითონ თქვენ მასწრებთ და მიჯავრდებ-მემუქრებით: „თუ ასე არ გსურს, იძულებული ვარ თქვენთან კამათი შევწყვიტო დღეიდანო“. კიდევ შეგნიშნავთ, რომ თქვენ ხმის ამოღების უფლება აღარ გქონდათ ჩემს წინააღმდეგ, როდესაც სამჯერ წინადადება მოგეცით და ვერ გაბედეთ აშკარათ გამოსვლა, სამი დღის მაგიერ მეშვიდე დღეს მიპასუხეთ და **ისევ ფარდას ქვეშიდან,** ამიტომ კამათი ჩვენ შორის თავის-თავად შესწყდა. როდესაც ერთი მხარე ნიღაბს იხდის გასამართლების დროს, მეორე მხარეც ვალდებულია ასე მოიქცეს, თუ შესწევს მას. მოქალაქობრივი გამბედაობა, ეს არის საჭირო იმიტომ, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს რომელი რა პიროვნება ბრძანდება, ისე გასამართლებას მკითხველ საზოგადოების თვალში მნიშვნელობა არა და აქვს თუ ასე არ მოიქცევა, სამართალზე უარი უნდა განაცხადოს. თქვენც ასე უნდა მოქცეულიყავით, ღობეს ამოფარებული, ტალახის სროლა ვერაფერი ვაშკაცობაა.

დღეიდან მეც იძულებული ვარ „სამშობლოს“ 58 №-ში თქვენ მიერ მოთავსებულ ლანძღვა-დაცინვის წერილზე გიპასუხოთ სიტყვა სიტყვათ და დაგსდოთ მსჯავრი პრესის საშუალებით, თუმცა გეკუთნისთ კი ოფიციალურ სამართალში გაგიწვიოთ და იქ გამოვაჩინო თქვენი სახე, რადგანაც კულტურულ საშუალებას გაურბიხართ და დახურულ კარებში გსურთ მოხდეს გასამართლება. ლათინური ანდაზაა: „Contraria contrariis curantus“ ე. ი. „წინააღმდეგი წინააღმდეგით იკურნებაო“ და მეც ასე მოვიქცევი, ჩვენი მედიატორენი კი თავისუფალნი არიან ჩვენგან*).

ლადო ბზვანელი.

*) რედაქცია სწყვეტს ყოველგვარ კამათს და მომავლში აღარ აღძრავს ასეთ კინკლაობას.

რედ.

სად. ხრესილის აბანო და ტყიბულის ქვანახშირის მადნეულობა.

რომ იტუვიან: „ღმერთს თავის უნარ-ჭკვიანს დაუბერტყნიაო“ ამ ადგილებზე უნდა ითქვას. ძლიერ კარგათ არის [illegible] ხრესილის სამეურნალო წყლები, ბევრი სნეული გაუკურნავს ამ წყალს; თქვენ თუ გინახავს დავრდომილი ადამიანი, აი, ასეთი ადამიანი, რამდენსამე ბანაობის შემდეგ ძნობს სხეულის სიმსუბუქეს და ჯოხით მოსიარულე ავათმყოფი აქედან თითქმის ჯანსაღი დაბრუნებულა შინ.

დავიარე რა ეს ადგილი, შემდეგში გავეგზავრე ტეიბულისასენ მე არ მენახა ტეიბულის ქვანახშირის მადანი და იქაური წარმოება, ამიტომ ვისარგებლე შემთხვევით და გავეშურე ტეიბულის მადნოების სანახავად.

დიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს ასეთი აღმოჩენილობა ჩვენს მიურუებულ ქვეყანაში. ყოველივე საქმის წარმოება აქვს აქ მიხდობილი დავით ბოჟორიშვილს მიტემული ინჟინერისაგან, რომლის გვარიც მე არ ვიცი.

სიმართლე უნდა ადვიარო, რომ მუშების აქ საქმის წარმოება ძლიერ შეგიწროებულათ უნდა ჩაითვალოს ამ ბირის წყალობით, გადაჭარბებული მუშობის დრო და ამ ბირის უდიერათ მოქცევა შეადგენს თავზე დაჯდომას მუშებზე და გაბეგრებულმა მუშა ხალხმა თუ სიმარდე ადიარა და საქმის გაუმჯობესება მოითხოვა, ის უნდა მიბრძანდეს აქედან და თუ ხმა არ ამოიღო, მაშინ სრული დესპოტი სუფევს მათზე.

ამ მუშათა კლასში არის ერთადერთი ბატონსანი ადამიანი მაქსიმე ქასრაშვილი, ამის მუშობას საზღვარი არა აქვს, მაგრამ დიდებულთან ბატარა კაცს როდის გასვლია მართალი. თუ რამე კარგი ჩაიდინა მ. ქასრაშვილმა— ეს სულ ჩემი მეოხებით არისო, ამბობს დ. ბოჟორიშვილი და თუ ბოჟორიშვილმა რამე დაუშავა წაუხდა, ამას კი ახვევს თავს ქასრაშვილს და ბუნების სიდუვნერისა და ამ კიტის უდიერობის გამო დამის არის სული ამოხდეს ამ უკანასკნელს.

როდემდის უნდა იტანჯოს სწყალმა მუშამ? ან როდის მოესწრება ცხოვრების გაუმჯობესება! ვაი დროებავ, ვაი ესამართლობავ!

სპირიდონ დ. ქავთარაძე.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ოზრუოლაძეების სამკურნალო

— აბანო. —

აბანო მდებარეობს მადლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალრზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, სუმაწვილობებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებს (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისიენეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება შუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ეოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი

კვლის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საუმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.

სამკურნალო აბანო

პ. ვ. ოგოლაძის.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.